ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N1
თანადაფინანსების შესახებ

ქ. დმანისი **2025 წ. “**

ჩვენ, ერთი მხრივ, დმანისის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის კობა მურადაშვილის სახით, შემდგომში წარმოდგენილი როგორც - „თანადამფინანსებელი,“ ხოლო მეორე მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“(ს/კ 211348816), წარმოდგენილი დირექტორის მაია ბიბილეიშვილის სახით (პ/ნ01011018819), შემდგომში „თანადაფინანსების მიმღები“, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №გ-109.109243592 განკარგულებით დამტკიცებული ,,დმანისის ბავშვთა დღის და ადრეული განვითარების ცენტრის თანადაფინანსების მუნიციპალური ქვეპროგრამის (დანართი N20), ასევე, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“ - ს შორის გაფორმებული მემორანდუმის (შემდგომში - მემორანდუმი) საფუძველზე, ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე მხარეები უზრუნველყოფენ დმანისის მუნიციპალიტეტში განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ა(ა)იპ–ის მიერ დაფუძნებული სერვისების მხარდაჭერას; მუნიციპალიტეტში მცხოვრები განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების /პირების გამოვლენას, მათ განვითარებაზე ზრუნვას და ოჯახების გაძლიერების პროგრამით უზრუნველყოფას;

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. ხელშეკრულების პირველ მუხლში აღნიშნული მიზნის შესასრულებლად, „თანადაფინანსების მიმღები“ პასუხისმგებელია თანადაფინანსებით გათვალისწინებული თანხის 42 000 (ორმოცდა ორი ათასი) ლარის ოდენობით მიზნობრივ ხარჯვაზე და ხარჯვის შედეგად მიღებული შედეგების ხარისხზე მემორანდუმის შესაბამისად.
2. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და ბავშვზე ზრუნვისა და მხარდაჭერის სამსახური (შემდგომში – სამსახური) ამოწმებს დაფინანსებული პროექტის და ხელშეკრულების პირობების შესრულების მდგომარეობას, „დაფინანსების მიმღების“ საქმიანობაში ჩარევის გარეშე.
3. „დაფინანსების მიმღები“ ვალდებულია, სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში, ნებისმიერ დროს (მიმდინარე ან/და საბოლოო ანგარიში) სამსახურს წარუდგინოს პროექტის შესრულების ანგარიში (პროგრამული და ფინანსური). ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მიმდინარე/განხორციელებული პროექტის/შესრულებული ინიციატივის შესახებ, მათ შორის:
ა) პროექტით გათვალისწინებული მომსახურებების განხორციელების ვადების შესახებ (პროექტით დაგეგმილისა და რეალურად განხორციელებულის მითითებით);
ბ) გაწეული ხარჯების შესახებ (დმანისის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებული დაფინანსების და დაფინანსების მიმღების თანამონაწილეობის წილის მითითებით).
4. ანგარიშს უნდა დაერთოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები (გაფორმებული ხელშეკრულებები, უწყისები, მიღება-ჩაბარების აქტები, ბრძანება და სხვა) და პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა.
5. სამსახური ახორციელებს დაფინანსებული პროექტის მიმდინარეობისა და შესრულების მონიტორინგს, ნებისმიერ დროს, მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მეშვეობით.
6. თანადამფინანსებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია სამსახურის უფროსი - მეგი ედიბერიძე.
7. ,,თანადაფინანსების მიმღები“ ვალდებულია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ პირს ხელი შეუწყოს მათ მიერ განხორციელებულ ინსპექტირებაში და არ დაუშვას მათი საქმიანობის ხელშეშლა.

8. მონიტორინგი ხორციელდება ანგარიშგების მასალების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის ან/და სამსახურის მიერ დამოუკიდებლად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. მონიტორინგი შეიძლება მოიცავდეს პროექტის ფარგლებში დაგეგმილ/განხორციელებულ ღონისძიებაზე დასწრებას.
9. განხორციელებული მონიტორინგის შესახებ სამსახური/პასუხისმგებელი მოსამსახურე ადგენს ანგარიშს.
10. „თანადაფინანსების მიმღები“ ვალდებულია უზრუნველყოს სახელშეკრულებო თანხის მიზნობრივი ხარჯვა. ,,თანადაფინანსების მიმღები“ იღებს პასუხისმგებლობას პირნათლად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, წარმოადგინოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (გადახდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), როგორც „თანადამფინანსებლის“ მიერ გაცემული თანადაფინანსების, ასევე თანადაფინანსების მიმღების მხრიდან გაწეული თანადაფინანსების მიზნობრივი ხარჯვის თაობაზე.
11. მიზნობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების (გადახდების დამადასტურებელი დოკუმენტაციის) წარმოუდგენლობის შემთხვევაში, „თანადაფინანსების მიმღები“ ვალდებულია დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს თანხა მერიის მიერ გაცემული თანადაფინანსების წილიდან თანადაფინანსების მიმღების მიერ გაუხარჯავი ან არამიზნობრივად დახარჯული თანხის პროპორციული ოდენობით, ხოლო თანადაფინანსების მიმღების თანადაფინანსების წილის არამიზნობრივად ხარჯვის ან ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის (გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის) (თუნდაც ნაწილობრივი) წარმოუდგენლობის შემთხვევაში, თანადაფინანსების მიმღებმა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას მოთხოვნისთანავე უნდა დაუბრუნოს მერიის მხრიდან გაცემული თანადაფინანსების სრული ოდენობის თანხა. ამ პუნქტით თანადაფინანსების მიმღების მიერ ნაკისრი ვალდებულება ძალაშია მის შესრულებამდე.
12. „თანადამფინანსებელი“ ვალდებულია შეამოწმოს „თანადაფინანსების მიმღების“ პროექტით გათვალისწინებული პირობების შესრულება და წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების სრულად და ჯეროვნად წარმოდგენის შემთხვევაში, მათ შესაბამისად მოახდინოს ანგარიშსწორება.
13. „მხარეები“ იღებენ ვალდებულებას დროულად და სრულად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ გაცემული მატერიალური მატერიალური ვაუჩერის ფარგლებში მიღებული ანაზღაურება და ასევე დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები შეადგენს წელიწადში - 42 000 ლარს კვების, დამხმარე მასალების და შესაბამისი სპეციალისტების ანაზღაურების გათვალისწინებით.

მუხლი 4. ანგარიშსწორების პირობები

1. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თანადაფინანსების თანხის გაცემა/გადარიცხვა შეიძლება მოხდეს პერიოდული ან/და საბოლოო ანგარიშსწორების ფორმით.
2. პერიოდული ანგარიშსწორებისას, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თანხის გაცემა/გადარიცხვა ხდება პერიოდულად, შუალედური ანგარიშის და სამუშაოს შესრულების/ხარჯების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტების (მათ შორის ინვოისი, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ) წარდგენის საფუძველზე.
3. საბოლოო ანგარიშსწორებისას, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თანხის გაცემა/გადარიცხვა ხდება პროექტის დასრულების შემდეგ, საბოლოო ანგარიშის და სამუშაოს შესრულების ამსახველი/ხარჯების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე.
4. ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში.
5. ანგარიშსწორება ხდება პროექტის მიმდინარეობისას, ეტაპობრივად საბოლოო ანგარიშსწორებისას, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ (გაფორმებული ხელშეკრულებები, უწყისები, გადახდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია) შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

მუხლი 5. წინასწარი ანგარიშსწორების პირობები

1. „დაფინანსების მიმღები“ უფლებამოსილია „დამფინანსებლისგან“ მოითხოვოს თანხის წინასწარ ჩარიცხვა ავანსის სახით. ასეთ შემთხვევაში თანხის ჩარიცხვა განხორციელდება ეტაპობრივად, „დაფინანსების მიმღების“ მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიების შესაბამის ტრანშებად.
2. ავანსის იდენტური საბანკო გარანტია უნდა იყოს უპირობო და „დამფინანსებელს“ აძლევდეს უფლებას, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან მოთხოვნისთანავე მიიღოს შესაბამისი თანხა.
3. „დაფინანსების მიმღები“ ვალდებულია ავანსი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად.
4. საბანკო გარანტიის ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.
5. წინასწარი ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში ამ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
6. „დაფინანსების მიმღები“ ვალდებულია ხელშეკრულების მოქმედების ვადაში წარმოადგინოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მუხლი 6. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არა ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, თანადამფინანსებელი უფლებამოსილია არ განახორციელოს თანადაფინანსების მიმღებისთვის დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გადასახდელი თანხის გაცემა/გადარიცხვა და ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.
2. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილი იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
3. ხელშეკრულების შეუსრულებლობის და ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე სადავო საკითხის გადაწყვეტაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავას წყვეტს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე, ომები და საომარი მოქმედებები, ასევე სხვა, მხარეებისგან დამოუკიდებელი მიზეზების - დაუძლეველი ძალის არსებობა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა) წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს ფორსმაჟორის გამოყენების უფლებას.

მუხლი 8. სხვა პირობები

1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
3. ხელშეკრულება დგება ელექტრონულად ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

1. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით.
2. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მასზე ელექტრონულად ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით, ან/და იმ დრომდე ვიდრე მხარეები წერილობით არ შეთანხმდებიან მისი გარკვეული პირობების შეცვლაზე ან შეწყვეტაზე.

მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები

თანადამფინანსებელი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია

მის: დმანისი, წმინდა ნინოს ქუჩა N41

ს/კ 228928391

თანადაფინანსების მიმღები

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

,,ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“

(ს/კ211348816)

მიმღები: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ბავშვი, ოჯახი სზოგადოება“

მიმღები ბანკის დასახელება:

მიმღები ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგარიშის ნომერი:GE12TB7782636020100004

დმანისის მუნიციპალიტეტის მერი

DMANISI MUNICIPALITY

Digitally signed by DMANISI MUNICIPALITY
Date: 2025.02.06 14:51:40 +04'00'

კობა მურადაშვილი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

,,ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“ - ს დირექტორი

Maia Bibileishvili 01011018819

Digitally signed by Maia Bibileishvili
Date: 2025.02.07 12:08:44

მაია ბიბილეიშვილი